

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ს ხ დ ო მ ა

2018 წლის 10 სექტემბერი, 11:00 საათი

დღის წესრიგი

1. სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის წერილი ზუგდიდის რაიონული სასამართლოს სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით

მომხსენებელი

➤ სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარე შოთა ქარჩავა

2. გადაწყვეტილების პროექტი - „საქართველოს საერთო სასამართლოებში საქმეთა ავტომატურად, ელექტრონული სისტემის მეშვეობით განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2017 წლის 1 მაისის №1/56 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე ბოლო 2 თვის განმავლობაში მოსამართლეზე საქმეთა განაწილების თავისებურებებს.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ირაკლი შენგელია

3. გადაწყვეტილების პროექტი - „თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიებში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2006 წლის 3 ოქტომბრის №1/92-2006 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოსამართლეთა ვიწრო სპეციალიზაციაში ცვლილებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე

4. გადაწყვეტილების პროექტი - „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2009 წლის 9 ოქტომბრის №1/308 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის წესში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“

- პროექტი ითვალისწინებს სამოსამართლო გამოცდილების არმქონე და სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმებში ცვლილებას.

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაზი ჯანუაშვილი

5. მოსამართლეთა შესარჩევი კონკურსის ჩატარების არსებული პროცედურის შესახებ „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ რეკომენდაციების განხილვა

მომხსენებელი

➤ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი გიორგი მიქაუტაძე